ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 5 აგვისტო 2004 №179 (2200) ფასი 50 თეთრი


## რით დაიმახსოვრეს პოლონელებმა ქართველები: Gruzini próbują atakować







## ფლორენტინო პერესი პატრიკიანი კაცია

ფლორენტინო პერესმა თავისი გაიტანა და პატრიკ ვიეირა „რეალში" გადაიყვანა. ამ ხმაურიანი ტრანსფერის გაჩარხვა „რეალის" პრეზიდენტს 35 მილიონი ევრო დაუჯდა – სწორედ ამ თანხაზე გაურიგდა იგი გუშინ „არსენალის" აღმასრულებელ დირექტორ დევიდ დინს.

ვიეირას გამადრიდელებას იტყობინება ევროპის თითქმის ყველა ავტორიტეტული გამოცემა თუ საინტერნეტო ვებ-გვერდი. ესპანური „ასის" მტკიცებით კი, ფრანგი უკვე ლონდონურ სახლს ჰყიდის და მადრიდში, ზინედინ ზიდანის მეზობლად აპირებს ცხოვრებას. მაგრამ ჯიუტად არ ტყდება არსენ ვენგერი, აქაოდა, ვიეირა ისევ „არსენალის" ფეხბურთელიაო, თუმც ვენგერის სიტყვაზე მეტად ის 35 მილიონი ფასობს, სენიორ ფლორენტინო ლონდონელებს რომ ჩაუთვლის.

## ოლიმპიური ქრთამაშები

ამათი გამოსწორება არ იქნება! საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მაღალჩინოსნები, ვინ მოთვლის, მერამდენედ გაეხვივნენ სკანდალში. ბრიტანულმა ტელეგიგანტმა **BBC**-მ სოკ-ის რამდენიმე მოხელე ქრთამის აღებაში ამხილა და ნივთმტკიცებაც ისეთი წარმოადგინა, არაერთ მათგანს შეულახავს მექრთამეობით დაბინძურებულ ოლიმპიურ კარიერას.

**BBC**-ს ჟურნალისტებმა სოკ-ის ჩინოვნიკებს თავი ლონდონელ ბიზნესმენებად შეასაღეს და 2012 წლის ოლიმპიურ დედაქალაქად ლონდონის არჩევის საფასურად მილიონები შეაძლიეს, თანაც ყველაფერი ფარულ კამერაზე აღბეჭდეს და გვარიანი სიუჟეტიც გამოცხვა. კადრებში სოკ-ის ერთ-ერთი დიდმოხელე პირდაპირ ასახელებს კოლეგების დასაყოლიებელ თანხას. ყველაზე დიდ შარშია ბულგარელი ჩინოვნიკი, ამავდროულად ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ივან სლავკოვი, რომელიც 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადის სკანდალშიც იყო გახვეული, მაგრამ მაშინ იოლად გადარჩა. სკანდალში აგრეთვე ფიგურირებს სოკ-ის რუსი ვიცე-პრეზიდენტის ვიტალი სმირნოვის პერსონაც.



## ფული მოდის. მიდი!

## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005
### II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

*შახტარი (უკრაინა)* 1:0 პიუნიკი (სომხეთი) (3:1)
**1:0 ჰუბშმანი (32)**

*ცსკა (რუსეთი)* 2:0 ნეფთჩი (აზერბაიჯანი) (0:0)
**1:0 რ. გუსევი (68), 2:0 ვაგნერ ლოვე (72)**

*მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)* 1:0 ჰიკ (ფინეთი) (0:0)
**1:0 ლ. კოენი (88)**

*ტრაბზონსპორი (თურქეთი)* 3:0 სკონტო (ლატვია) (1:1)
**1:0 იატარა (57), 2:0 მ. ილმაზი (65), 3:0 ფათიჰ ტეკე (85)**

შერიფი (მოლდოვა) 0:2 *რუსენბორგი (ნორვეგია)* (1:2)
**0:1 ო. ბერგი (36), 0:2 ბრატბაკი (40)**

*ფერენცვაროში (უნგრეთი)* 0:1 ტირანა (ალბანეთი) (3:2)
**0:1 დ. მუკაი (14)**

*სპარტა (ჩეხეთი)* 2:1 აპოელი (კვიპროსი) (2:2)
**1:0 საციასი (31ს.კ.), 1:1 ხარალაბიდისი (52), 2:1 პაჩანდა (56)**

კოპენჰაგენი (დანია) 0:5 *ნოვა გორიცა (სლოვენია)* (2:1)
**0:1 როდიჩი (27), 0:2 შტურმი (42), 0:3 სრებრნიჩი (45),**
**0:4 როდიჩი (52), 0:5 შტურმი (78)**

*დინამო (რუმინეთი)* 1:0 ჟილინა (სლოვაკეთი) (1:0)
**1:0 დანჩულესკუ (19)**

*შელბურნი (ირლანდია)* 2:0 ჰაიდუკი (ხორვატია) (2:3)
**1:0 როჯერსი (78), 2:0 ა. მური (90)**

*ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)* 3:0 იანგ ბოისი (შვეიცარია) (2:2)
**1:0 მილადინოვიჩი (39), 2:0 დუდიჩი (49), 3:0 ჟიგიჩი (69)**

კაუნასი (ლიტვა) 0:2 *იურგორდენი (შვედეთი)* (0:0)
**0:1 ა. იოჰანსონი (24), 0:2 ბარსომი (68)**

ლოკომოტივი (ბულგარეთი) 0:4 *ბრიუგე (ბელგია)* (0:2)
**0:1, 0:2 ბალაბანი (14, 44), 0:3 შატერნსი (75), 0:4 ნ. ჩეპი (84)**

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

გრაცერი (ავსტრია) — ლივერპული (ინგლისი)
იუვენტუსი (იტალია) — იურგორდენი (შვედეთი)
ფერენცვაროში (უნგრეთი) — სპარტა (ჩეხეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
ლევერკუზენი (გერმანია) — ბანიკი (ჩეხეთი)
ცსკა (რუსეთი) — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)
შახტარი (უკრაინა) — ბრიუგე (ბელგია)
დინამო (უკრაინა) — ტრაბზონსპორი (თურქეთი)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
დინამო (რუმინეთი) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
ბაზელი (შვეიცარია) — ინტერი (იტალია)
ბენფიკა (პორტუგალია) — ანდერლეხტი (ბელგია)
დეპორტივო (ესპანეთი) — შელბურნი (ირლანდია)
პაოკ (საბერძნეთი) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)
ნოვა გორიცა (სლოვენია) — მონაკო (საფრანგეთი)
ვისლა (პოლონეთი) — რეალი (ესპანეთი)

## ინტერტოტოს თასი 2004
### ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

სლავენი (ხორვატია) 1:1 *ლილი (საფრანგეთი)* (0:3)
**1:0 პეეიჩი (4), 1:1 მანჩევი (52)**

ნანტი (საფრანგეთი) 2:1 *ლიბერეცი (ჩეხეთი)* (0:1)
**1:0 იაპი-იაპო (6), 1:1 ჰოლოშკო (21), 2:1 იაპი-იაპო (44)**

ჰამბურგი (გერმანია) 0:1 *ვილიარეალი (ესპანეთი)* (0:1)
**0:1 ხოსე მარი (69)**

*ატლეტიკო (ესპანეთი)* 2:0 ოფკ (სერბეთი) (3:1)
**1:0 ფ. ტორესი (10), 2:0 აგილერა (50)**

*ლეირია (პორტუგალია)* 2:0 გენკი (ბელგია) (0:0)
**1:0 ფელიჩიო (23), 2:0 ედსონი (45)**

## ფინალი

ლილი (საფრანგეთი) — ლეირია (პორტუგალია)
შალკე (გერმანია) — ლიბერეცი (ჩეხეთი)
ვილიარეალი (ესპანეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი)

## რუსეთი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
**ყუბანი 1:2 სპარტაკი**

## დანია
სუპერლიგა. II ტური
**რანდერსი — ესბიერგი** გადაიდო
I დივიზიონი. II ტური
**ბ-93 კოპენჰაგენი 1:1 იოლსტიკე**

## შვედეთი
სუპერეტა. გადადებული მატჩი
**იოსტერსი 5:0 ფრისკა**

## ფინეთი
ვეიკაუსლიგა
გადადებული მატჩი
**ჯაზი 0:4 მიუპა**

## ამხანაგური მატჩები
**კაშიმა 0:1 ვალენსია**
**ივატა 0:3 ბარსელონა**
**რომა 1:2 ლივერპული**
**ბლეძბერნი 0:1 სპორტინგი**
**სელტიკი 2:1 ნიუკასლი**
**მიდლსბრო 3:1 მალიორკა**

*„ვიტ ჯორჯია“, რა თქმა უნდა, კრაკოვშიც დამარცხდა, მაგრამ ისე აღარ, როგორც თბილისში. თამაშამდე ჩვენში ბევრს მარჩიელობდნენ, სხვაობა ამდენი იქნება თუ იმდენიო, მაგრამ „მოკრძალებულ“ 3:0 თითქმის არავინ ამბობდა.*

კრაკოვი. 4 აგვისტო. 22.15 საათი. ჯორდანს პარკი. 8 000 (ტევადობა 10 000)

### ვისლა 3:0 ვიტ ჯორჯია

პირველი მატჩი: 8:2

1:0 კუჟბა (23), 2:0 ომეონუ (36), 3:0 გორავსკი (63)

| | |
|---|---|
| ვისლა: პიეკუტოვსკი, მისიაკი, კოვალჩიკი, გლოვაცკი, სტოლარჩიკი, გორავსკი (ფეხნერი 71), კუკიელკა, შიმკოვიაკი (კვიეკი 57), ეკვუემე, კუჟბა, ომეონუ | ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, დათუნაიშვილი, თ. კობიაშვილი, ინწკირველი, კვახაძე, ნოზაძე (ებანოიძე 64), გველესიანი (მალიჩავა 77), დილმელაშვილი, გოჩაშვილი, იმედაშვილი (კუპრეიშვილი 67), სახოკია |
| მწვრთნელი: ჰენრიკ კასპერჩაკი | მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: გორავსკი, იმედაშვილი, კვიეკი, დილმელაშვილი

მსაჯები: ნოვო პანიჩი; მიროსლავ მირიჩი, მუჟო ტუტუნი; რუსმირ მრკოვიჩი (ყველა ბოსნია)

# ვიტ ჯორჯიამ ამოისუნთქა
## მორჩა! სამზე მეტი არ გავუშვით

„ვისლამ“ თბილისური მატჩის მონაწილე ოთხი ფეხბურთელი დაასვენა, მათ შორის პოკერის ავტორი ფრანკოვსკიც. ვიტელთა კართან სახიფათო მომენტები იმდენად ხშირი იყო, რომ მათ აღწერას გაზეთის ერთი გვერდიც არ ეყოფა, ან საერთოდ ღირს კი?! „ვიტ ჯორჯიამ“ მეტოქის კარისკენ სულ ორჯერ გაიწია. პირველად ეს 50-ე წუთზე მოხდა, როდესაც გოჩაშვილს მეკარემ დაასწრო, მეორედ კი 66-ეზე, ამჯერად სახოკიამ ვერ მიუსწრო პარტნიორის მწვავე გადაცემას.

პოლონური კლუბის ვებ-გვერდზე ონლაინ რეპორტაჟისას ერთი ასეთი ფრაზაც იყო — Gruzini próbuja atakowaç. ამ წინადადებას კი თარგმნა არ სჭირდება.

მატჩის შემდეგ კრაკოვის სასტუმრო „სიტი SM“-ში ვიტჯორჯიელთა კაპიტანს *ლაშა ნოზაძეს* შევეხმიანეთ...

— პირველი თამაშის შემდეგ ძალიან შერცხვენილები ვიყავით და, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, მცირე რეაბილიტაციის მაგვარი გვსურდა. ამიტომ ერთმანეთს ვუთხარით, რომ მომხდარი დაგვევიწყებინა. თუმცა დღეს რეალობა ასეთია — „ვისლა“ ნაღდად ჩვენზე ძლიერი გუნდია და დამსახურებულად გაიმარჯვა. პოლონელებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ. დიდი პოტენცია აქვთ თავდამსხმასა და ნახევარდაცვაში. შედარებით სუსტია დაცვის ხაზი.

**— გოლები ისევ სტანდარტულებით გაიტანეს?**

— ორჯერ ფლანგური გარღვევით და თავით იხეირეს. ერთიც გორავსკიმ გაგვიტანა, რომ იტყვიან, კარგად შეასრულა და ძალიან ეფექტური ბურთი შეაგდო. ჩვენი ორი მცველი ცრუმოძრაობით ჩამოიტოვა და ბურთი ცხრიანში აჭრა.

**— რა სხვაობა იყო თბილისურ და კრაკოვურ მატჩებს შორის?**

— პოლონეთში გაცილებით მობილიზებულები ვიყავით. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მათმა მწვრთნელმა თქვა კიდეც, რომ ეს ორი მატჩი როგორც ცა და მიწა, ისე განსხვავდებოდა და კრაკოვში უფრო მძიმე თამაში გვქონდაო. ეს მხოლოდ ზრდილობის გამო ნათქვამი არ იყო, ვინაიდან თამაშისას რამდენჯერმე გაცეცხლებული წამოხტა და თავისი ფეხბურთელები გვარიანად შეაფუცხუნა.

**— ამას რაღა აზრი ჰქონდა?**

— ევროპელები ყველა მატჩში მოსაგებად გადიან, თანაც შინ, საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ. სტადიონი კი თითქმის შეივსო. ისეთი გულშემატკივრობა იყო, რომ თამაში ჩვენც გვსიამოვნებდა.

**— კრაკოვიდან 6 აგვისტოს მოემგზავრებით, 8 აგვისტოს კი ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოსთან“ მატჩი გელით...**

— ამ თამაშს არავინ გადაგვიდებს და უნდა გავიჭირვოთ. 6-ში დილით კი გამოვემგზავრებით. გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცდებით.

**დავით ერაძე**



„ვისლამ“ „ვიტ ჯორჯიაზე“ კი გაიხარა, მაგრამ „რეალის“ ხახაში ჩაჰყო თავი



REUTERS

„კოპენჰაგენი“ — „ნოვა გორიცა“. იანო შტურმმა დანიელები დაბომბა

ეროვნული ბიბლიოთეკა



*პარასკევს ბუნდესლიგა იწყება. სეზონს იწყებს გერმანიაში მოთამაშე სამი ქართველიც: ფრაიბურგელები – ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი და შალკელი ლევან კობიაშვილი. თუ „შალკე" ჩემპიონატს ინტერტოტოზე ნაპრაქტიკალი ხვდება, „ფრაიბურგი" აქამდე მხოლოდ ამხანაგური მატჩებით ემზადებოდა. ბოლო ამხანაგური ჩვენების გუნდმა სამშაბათს შინ „ბაიერნთან" ჩაატარა და 0:2 დამარცხდა. ისე, ამ თამაშს მოსამზადებლის გარდა სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. „ფრაიბურგი" 100 წლისა გახდა და „ბაიერნიც" იუბილეს აღსანიშნავად მიიწვია.*

*ალექსანდრე იაშვილთან გუშინდელი საუბარიც ამ მატჩით დავიწყეთ, მერე კი ბუნდესამბებიც მოვაყოლეთ*

# იაშვილი ჰანზამდე კანმა შეამოწმა

— „ბაიერნი" ახალი სეზონისთვის მართლაც ძალიან გაძლიერებულა. კი, რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატეს, მაგრამ მწვრთნელ მაგათის ხელი ასე მალე თუ დაეტყობოდა, არავინ ელოდა. წლეულს ჩემპიონი, ვფიქრობ, სწორედ „ბაიერნი" გახდება. ჩვენ კი ასეთ ძლიერ გუნდთან 0:2 წავაგეთ, მაგრამ, თავად მიუნხენელებმაც თქვეს, მთელი თამაში თქვენი იყო და დიდი ანგარიშით მოგებაც შეგეძლოთო. ხუთჯერ თუ ექვსჯერ ბურთი ძელს მოვარტყით, რამდენჯერმე კანის პირისპირ ვიყავით და ვერ გავიტანეთ. სტუმრებმა კი საგოლე შანსები მაქსიმალურად გამოიყენეს.

— **„ბაიერნი" უძლიერესი შემადგენლობით თამაშობდა?**

— ჯერ სეზონი არ დაწყებულა და როგორი იქნება „ბაიერნის" უძლიერესი შემადგენლობა, ალბათ, მხოლოდ მაგათმა იცის. ჩვენთან კი „ბაიერნს" ყველა სახელოვანი ფეხბურთელი ჰყავდა.

— **შენ და ცქიტიშვილმა სრულად ითამაშეთ?**

— მე — კი, ცქიტიშვილს კი კუნთი ასტკივდა და მეორე ტაიმში აღარ უთამაშია. გართულებას მოერიდა, პარასკევს ხომ ბუნდესლიგა იწყება.

— **ახალი სეზონის წინ გუნდში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება თუ არის?**

— მნიშვნელოვანი არაფერი. „ფრაიბურგიდან" არავინ წასულა, დამატებით კი სამი ფეხბურთელი დაგვემატა. ერთი, მოჰამადი, ლიბანის ნაკრების კაპიტანია და ეტყობა, რომ ძლიერი, გონიერი ფეხბურთელია. ის დაცვის ცენტრში დიარასთან ერთად თამაშობს. მოჰამადის შეძენით ჩვენც კმაყოფილები ვართ და მწვრთნელიც სულ მის ქებაშია.

— **კარგი ცენტრალური მცველი ნახევარი გუნდიაო. გამოდის, თქვენც გაძლიერებულხართ.**

— საგრძნობლად გავძლიერდით, თუმც ჯერ მხოლოდ ამხანაგური მატჩები ვითამაშეთ, ჩვენი რეალური ძალა კი ჩემპიონატის დასაწყისში გამოჩნდება. ისე კი, „ბაიერნთან" მოსაგები თამაში გვქონდა, ინტერტოტოზე „დორტმუნდის" მომგებ ფრანგულ „სოშოსთან" 0:0 ვითამაშეთ. მოსამზადებელი ეტაპის დაწყებისას ცოტა კი გვიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა ძალა მოვიკრიბეთ და ბოლო მატჩები უკეთ ჩავატარეთ.

— **„ბაიერნის" გარდა კიდევ რომელი გუნდი გაძლიერდა?**

— „ბაიერნს", მგონი, ჩემპიონობას ვერავინ შეეცილება. მათ ფრინგსი და ლუსიო დაიმატეს, ესენი კი ნებისმიერი გუნდისთვის, მით უმეტეს, „ბაიერნისთვის", დიდი ძალაა. შარშანდელზე უკეთესი გუნდი იქნება „შალკეც", მათაც კარგი ფეხბურთელები — აილტონი და კრსტაიჩი დაიმატეს. ლუსიო კი წავიდა, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელი „ლევერკუზენმაც" შეიძინა; როგორც ყოველთვის, კარგი გუნდი უნდა იყოს „დორტმუნდიც" და, რა თქმა უნდა, „ბაიერნს", ალბათ, „ვერდერიც" ანერვიულებს. თუმც ჩემპიონი ალბათ მაინც „ბაიერნი" გახდება.

— **შაბათს „ჰანზას" მოუგებთ?**

— უნდა მოვუგოთ. ყოველ შემთხვევაში, სეზონის დაწყებამდე მგონია, რომ „ფრაიბურგს" უკეთესი გუნდი ჰყავს, თანაც შინ ვთამაშობთ.

— **შენი ტრანსფერის ამბები როგორაა?**

— ახალი არაფერია. უკვე გადაწყვეტილია, რომ ბუნდესლიგის პირველ წრეს „ფრაიბურგში" ვითამაშებ, მერე კი, ზამთარში, ვნახოთ. თუ სერიოზული გუნდისგან მივიღებ წინადადებას, წავალ აქედან, თუ არა, სეზონის ბოლომდე დავრჩები.

**ქობა ინასარიძე**





## კობიაშვილი თამაშობს და თამაშობს

# ჰაინკესი ჰაი გუნებაზეა

**გელზენკირხენის** „შალკე" და მასთან ერთად ლევან კობიაშვილიც ინტერტოტოს თასის ნახევარფინალში არიან. ახლა იუპ ჰაინკესის გუნდს უეფას თასზე გადასასვლელად ერთიღა სჭირდება — ნახევარფინალის მოგება.

გუშინწინ „შალკემ" საკუთარ „აუფ შალკეზე" 3:0 გაანადგურა დანიური „ესბიერგი". გერმანელებს სტუმრადაც მოგებული ჰქონდათ 3:1 და შემდგომ ეტაპს თამაშ-თამაშით უწიეს. ყველაზე თვალშისაცემი კი გელზენკირხენელთა გოლიანობაა, მათ არც ერთ მატჩში სამ ბურთზე ნაკლები არ გაუტანიათ. კობიაშვილმა კი, როგორც ინტერტოტოს ადრინდელ მატჩებში, ამჯერადაც 90 წუთი ითამაშა და კვლავაც დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ნამატჩევს ჰაინკესი კმაყოფილებას ვერ მალავდა: „ბუნდესლიგა" კარს მოგვადგა, მას ჩვენ მშვიდად ვხვდებით, ვინაიდან „შალკე" საუკეთესო ფორმაშია. გუნდის ძირითადი ბირთვი მომქანცველი სეზონისთვის მზადაა".

„შალკე" „ესბიერგთან" თავის საკეთებელს მატჩის დასაწყისიდანვე შეუდგა, მე-3 და მე-5 წუთებზე გაცუდებული მომენტების შემდეგ ჰანკემ მე-11-ეზე იხეირა. საგოლე კომბინაცია კი კობიაშვილმა წამოიწყო. ამის შემდეგ ქართველ ფეხბურთელს შეტევებში აღარ უაქტიურია, ვინაიდან ჰაინკესმა გუნდი 3-4-3 სისტემით ათამაშა და კობიაშვილს უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოება ევალებოდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ესბიერგს" საგოლე მომენტიც არ ჰქონია, სხვებთან ერთად კობიაშვილმაც კარგად გაართვა თავი დავალებას.

# ამერული ექსპერიმენტი ორი გოლით

**ჩეხეთში** შეკრებაზე მყოფმა „ამერმა" გუშინწინ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა და 2:0 მოიგო. „ამერის" მეტოქე ჩეშსკალიგის (რეგიონალლიგა) მოსტის „სიად სოუში" იყო.

„ამერს" ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი, გიორგი ელბაქიძე და სულიკო დავითაშვილი აკლდა. ორივენი ვარჯიშისას დაშავდნენ. გარდა ამისა, მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ ექსპერიმენტი ჩაატარა და რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი მათთვის უჩვეულო პოზიციაზე ათამაშა.

*გიორგი ჩიხრაძე:* „გაცილებით მეტი მომენტი უნდა შეგვექმნა, მაგრამ გადაცემებში ბევრი წუნი გვქონდა. მეტოქისთვის ბურთისართმევასაც ბევრ ენერგიას ვახმარდით. თუმცა ახალგაზრდებს, რომელთა ნაწილსაც უჩვეულო პოზიციაზე მოუწია თამაშმა, მოსალოდნელზე მეტი შეცდომა არ დაუშვიათ".

„ამერმა" ორივე გოლი შესვენების მერე გაიტანა, იქამდე კი, პირველ ტაიმში, მეტნაკლებად თანაბარი ბრძოლა იყო. მოსტელთა მეკარემ რამდენჯერმე დასწრებაზე კარგად ითამაშა, ამერელთა კართან კი ორი სახიფათო მომენტი შეიქმნა.

მეორე ტაიმში ჩეხები ჩვენებს სახიფათოდ ვეღარ აწუხებდნენ, ანგარიში კი 55-ე წუთზე დავით მჭედლიშვილმა გახსნა. „ამერმა" მარცხენა ფლანგიდან დიდი ძალით შეუტია, მჭედლიშვილმა საჯარიმოს წინა ხაზთან ბურთი მოიხელთა, გაიგდო, მეკარესთან პირისპირ გავიდა და გაუტანა.

თამაშის დასრულებამდე 14 წუთით ადრე კი ოთარ ვარამიშვილის ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი მცველმა უხეიროდ მოიგერია და დავით სევასტოპულომ ღონიერი დარტყმით მეორე შეაგდო.

„ამერმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

*ნაჭყებია (ნადირაშვილი 80), კედელაშვილი (აბაშიძე 85), დავითნიძე (ბერიანიძე 80), ხვადაგიანი (გვაძაბია 74), მჭედლიშვილი, სილაგავა, დეკანოსიძე (შონია 75), კაიდარაშვილი (ვარუჩავა 80), ბუკალავა (ნიკოლაიშვილი 62), სევასტოპულო (ჩიმაკაძე 84), წინამძღვრიშვილი (ვარამიშვილი 70)*

**გიორგი დარჯანია**
**„ამერის" პრესსამსახურის უფროსი. ბლშანიდან**



„ამერი" და მისი კაპიტანი გიორგი დავითნიძე წინა ამხანაგურში „ტეპლიცეს" ეთამაშნენ

ვლადიკავკაზის „ალანიამ“ სეზონი რიხიანი განცხადებებით დაიწყო და თითქოს საფუძველიც ჰქონდა. ოსთა გუნდი მნიშვნელოვნად მოღონიერდა შემადგენლობითაც და ფინანსურადაც. მათ უკან ხომ სპირტიანი სასმელების მწარმოებელი გიგანტი „ისტოკი“ დგას. თუმცა შედეგი არ ჩანს. გუნდი ცხრილის ფსკერისკენ მიექანება და ფრანგი როლან კურბისის სკამიც გვარიანად შეირყა. ახლა „ალანიას“ მცირე შესვენება აქვს: ტულის „არსენალთან“ საპასუხო სათასო მატჩამდე კიდევ ხუთი დღეა, მერე კი პრემიერლიგის მორიგ ტურში ალანები „კრილიას“ მასპინძლობენ.

ვიტალი დარასელიამ შესვენებით ისარგებლა და ორი დღით თბილისში ჩამოვიდა...

# ალანიას სპირტს დაბალი გრადუსი აქვს

## კურბისის სკამს ფეხი მოსძვრა

— როგორც იქნა, ტრავმა მოიშუშე და მოედანს დაუბრუნდი...

— გახსენება აღარ მინდა — თამაში მინდოდა, მაგრამ ფეხის საშინელი ტკივილები ამის საშუალებას არ მაძლევდა. თან ზუსტ დიაგნოზსაც ვერ მეუბნებოდნენ. ახლა ყველაფერი ნორმალურადაა. დავიწყე და ნელ-ნელა ფორმაშიც შევალ. ორ მატჩში უკვე ვითამაშე, ერთში 30 წუთი, მეორეში 45.

— როგორ გგონია, ფორმას როდის აღიდგენ?

— მე მგონი, მალე. დღეს უკან, ვლადიკავკაზში ვბრუნდები. 10 აგვისტოს „არსენალთან“ საპასუხო სათასო მატჩი გვაქვს. მანამდე კარგად ვივარჯიშებ და ალბათ ამჯერზე უფრო დიდხანსაც ვითამაშებ. 14 აგვისტოს კი პრემიერლიგის ტურია. ვლადიკავკაზში ვითამაშებთ. როგორც იქნა, ჩვენი სტადიონის მინდვრის გაახლებას საშველი დაადგა და მინდა, იმ დღეს სრულ მზადყოფნაში ვიყო.

— „არსენალის“ ძლევა ვლადიკავკაზში არ უნდა გაგიჭირდეთ...

— მაგათაც თუ ვერ მოვუგეთ, დაღუპულია ჩვენი საქმე და ეგაა.

— შემადგენლობით გუნდი ცუდად არ გამოიყურება და რით ახსნი „ალანიას“ წარუმატებელ თამაშს?

— რა გვჭირს, არ ვიცი. ან კურბისს ვერ ვუგებთ, ანაც ჩვენ ვსუსტობთ. არადა, კურბისი რომ კარგი მწვრთნელია, ამას ლაპარაკი არ უნდა.

— გოლების გატანა გიჭირთ...

— ეგრეა. უფრო უკნიდან ვთამაშობთ. თავდასხმა, ფაქტობრივად, მოწყვეტილია, რაც იმის ბრალია, რომ ხეირიანი პასის მიმცემი ნახევარმცველი არ გვყავს.

— შენ რომ ითამაშო ნახევარდაცვაში, „დინამოში“ ეს არაერთხელ გაგიკეთებია...

— კი, მაგრამ წინ მათამაშებენ, თავდამსხმელის ოდნავ უკან, ცენტრში.

— მაშინ ნახევარმცველის შეძენაზე უნდა იზრუნონ...

— მეც მაგის იმედი მაქვს. ალბათ ვინმეს შეიძენენ.

— ამდენი წარუმატებლობის შემდეგ კურბისის ყოფნა-არყოფნის საკითხი ხომ არ დამდგარა?

— თუ კიდევ წააგო, ალბათ გაუშვებენ.

— არადა, „ალანიამ“ დიდი ფული დახარჯა...

— ძალიან სერიოზული ფულია დახარჯული და ახლა მოთხოვნაც იმიტომ დაიწყეს. არაფრით შეიძლება, „ალანია“ იმ ადგილზე იყოს, რომელზეც ახლაა.

— ყაველაშვილის უგოლობაც ზემოთ ნახსენები მიზეზის ბრალია?

— მიუხედავად იმისა, რომ მიშას ჯერ კიდევ ადაპტაციის პერიოდი უდგას, ის მაინც საუკეთესოა. ცოტა ხანში ალბათ გოლების გატანას დაიწყებს „ალანიასაც“ იქნებ ეშველოს.

**დავით ერაძე**



# ოთარ ხიზანეიშვილი ნაწილ-ნაწილ [illegible]



**ოთარ ხიზანეიშვილი** მოსკოვის „დინამოს“ ძირითადს გაეჩივა. მოსკოველთა ახალი მთავარი მწვრთნელი ვიქტორ ბონდარენკო სულ უფრო ხშირად ენდობა ქართველ ფეხბურთელს. ტრავმებისგან გატანჯულმა ხიზანეიშვილმა, როგორც იქნა, ფორმა აღიდგინა, მაგრამ რად გინდა, უიღბლობა ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება. „დინამოს“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გაჩნდა ინფორმაცია, ხიზანეიშვილი ტრავმირებულია, მას ცხვირის ძვალი გაუტყდაო.

საქმეში გასარკვევად ოთარს მოსკოვში შევეხმიანეთ.

— „ლოკომოტივთან“ მატჩში ერთ-ერთი შეჯახებისას დავშავდი. იმ დროს ვერც ვიგრძენი, ტრავმა სერიოზული თუ იყო. მეორე დღეს ჩვეულებრივად ვივარჯიშე და თვალებთან სისხლჩაქცევები გამიჩნდა.

— ოპერაცია დაგჭირდა?

— ცხვირი გამიტეხეს და ძვალი თავიდან ჩამისვეს. ახლა ნორმალურად ვარ. ოპერაციამ კარგად ჩაიარა და ექიმებმა მსუბუქი ვარჯიშის ნებაც დამრთეს. დღეს პირველად ვივარჯიშე კიდეც სპეციალური დამცავი ნიღბით. ბონდარენკომ მითხრა, გუნდთან ერთად იყავიო. ახლა რუსეთში სათასო მატჩებია და ათი დღის შემდეგ ევებ ჩემპიონატშიც შევძლო თამაში.

— გამოდის, იოლად გადარჩენილხარ...

— ეგრეა, მაგრამ ნერვები მაქვს დაწყვეტაზე, ჯერ ფეხი, მერე თვალი, ახლა ცხვირი...

**დავით ერაძე**

# ცხელი ნაყინი

**სამთვიანი უქმობისა** და ორთვიანი ლოდინის შემდეგ ლოკომოტიველ რამაზ სვანაძეს ოპერაციის გაკეთების ნება დართეს. ის უკვე კიევშია და დღეს ლინკოს ცნობილ კლინიკაში ჯვარედინი იოგების ოპერაციას გაუკეთებენ. ლინკოს კლინიკა პოსტსაბჭოურ სივრცეში საკმაოდ პრესტიჟულია და უკვე დიდი ხანია, კიევის „დინამოს“ ფეხბურთელები სამკურნალოდ უცხოეთში აღარ დადიან.

— ყველანაირი გამოკვლევა ჩამიტარეს, ანალიზებიც ამიღეს და ხვალ ოპერაციას მიკეთებენ — გვითხრა სვანაძემ გუშინ, კიევში რომ შევეხმიანეთ. — თუმცა ბედმა ერთხელაც დამცინა, ოპერაცია დღეს უნდა გამეკეთებინა, მე კი ნაყინი ვჭამე და ტემპერატურა ამეწია, ასეთ დროს კი ოპერაციას არ აკეთებენ.

— ფეხბურთში დაბრუნების გარანტია თუ მოგვცეს?

— აქ ისე ჩამოსვლას რა აზრი ექნებოდა?! ოპერაციის შემდეგ ხუთთვიანი რეაბილიტაციის პერიოდი დაიწყება — მასაჟები, აუზი და ასე შემდეგ. ამის მერე კი შესაძლოა, მსუბუქად ვარჯიში განვაახლო, მთავარია, რომ ფეხბურთს ისევ ვითამაშებ.

**დავით ერაძე**

# ძინამამ სამი დღით გაიღვიძა

## სტარებმა და სტარუკებმა ერთმანეთი გაიხსენეს

მოსკოვში დასრულდა ვეტერანთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ძველი თბილისის დინამოელებიც მონაწილეობდნენ. ისინი ჯგუფში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან და კიევის „დინამოსთან“ ერთად მოხვდნენ. ტურნირის გამარჯვებულები სწორედ უკრაინელი ფეხბურთელები გახდნენ, დინამოელები კი მეხუთე ადგილს დასჯერდნენ, მათ ერევნის „არარატი“ ჩამოიტოვეს.

მოსკოვური შთაბეჭდილებების გაზიარება *ბივი ნოდიას* ვთხოვეთ.



გივი და ლევან ნოდიები

— უმაღლეს დონეზე ორგანიზებული ტურნირი საბჭოეთის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული მინისტრის ბორის ბიშევის სახელობისაა. ბიშევი საკავშირო რკინიგზის სამინისტროს 1948-1977 წლებში ხელმძღვანელობდა. ფეხბურთის დიდი ქომაგი მოსკოვის „ლოკომოტივს“ პატრონობდა. თავადაც ვიცნობდი ბიშევს, მოსკოვის „ლოკომოტივში“ სამი წელი ვითამაშე და მის ყურადღებას თითოეული ფეხბურთელი გრძნობდა. ტურნირზე განსკუთრებით უფროსი თაობის გულშემატკივრები სჭარბობდნენ.

— ტურნირი უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებულიო, თქვით...

— ვცხოვრობდით სასტუმრო „იზმაილოვოში“. სათამაშოდ კი რამდენიმე მოედანი იყო გამოყოფილი. მოკლედ, ყველა პირობა შეგვიქმნეს. ყველაფერი კი 200 ათას დოლარზე მეტი დაუჯდათ.

— „დინამომ“ ტურნირზე ბოლოსწინა ადგილი დაიკავა...

— ყველაზე ასაკოვანი გუნდით და მართლაც ვეტერანებით ჩვენ და ერევნის „არარატი“ ვიყავით ჩასულები. დანარჩენებს ჰყავდათ ახალგაზრდა ფეხბურთელებიც, რომლებსაც კარიერა ახალი დასრულებული ჰქონდათ. პირველი ჯგუფური მატჩი სსრკ ნაკრებთან გავმართეთ და დიდი ანგარიშით დავმარცხდით. მეორე შეხვედრა კიევის „დინამოსთან“ გაცილებით უკეთ ჩავატარეთ. კიეველებს 2:1 ვუგებდით. გოლები ლევან ნოდიამ და კობა ახალკაცმა გაიტანეს. თუმცა მატჩის ბოლოს კიეველებმა პენალტით გაგვითანაბრეს. მეხუთე ადგილისთვის მატჩში ერევნის „არარატი“ დავამარცხეთ. ტურნირის ბოლოს შეიქმნა საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელიც სპონსორებს ეთამაშა, ამ ნაკრებში რევაზ ძოძუაშვილმა, მანუჩარ მაჩაიძემ და ლევან ნოდიამ ითამაშეს. მატჩი 2:2 დასრულდა და ორივე გოლი მაჩაიძემ გაიტანა.

— და ბოლოს, ნოსტალგია...

— ბუნებრივია, ესაც იყო. ტურნირის ბოლოს დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ დიდი ბანკეტი გაიმართა, რომელზეც დიდი ხნის უნახავი მეგობრები შევხვდით და ძველებურად ჩავეხუტეთ ერთმანეთს.

**დავით ერაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# 35 მილიონი

## არსენალმა ვიეირა გაყიდა, ვიეირამ ლონდონური სახლი

„არსენალი" კვლავ დუმს, ერთ-ერთმა ესპანურმა რადიომ და მადრიდულმა „ასმა" კი უკვე გამოაცხადეს, რომ დღედღეზე პატრიკ ვიეირა „რეალში" გადავა, რაშიც მადრიდელები 23,1 მილიონ გირვანქას ანუ 35 მილიონ ევროს გადაიხდიან

რადიოსვე ცნობით, „არსენალმა" რამდენიმე დღე ითხოვა ფრანგი კაპიტნის შემცვლელის საპოვნელად. რადიო „კადენა სერ" სარწმუნო წყაროა, „რეალ მადრიდი ტივის" ერთ-ერთი მეწილეა და „ბერნაბეუს" ამბები კარგად იცის.

ეს ყველაფერი ესპანურმა რადიომ თქვა, თუმც ისიც ვიცით, რომ ემილიო ბუტრაგენიომ, მადრიდელთა დირექტორმა აღიარა, ვიეირა ძალიან გვჭირდებაო.

ზემოთ ხსენებული „ასი" კი ამტკიცებს, „არსენალის" აღმასრულებელი დირექტორი დევიდ დინი და „რეალის" პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ერთმანეთს ტელეფონით დაუკავშირდნენ და 35 მილიონ ევროზე მორიგდნენო. მადრიდული გაზეთი იმასაც ირწმუნება, რომ ვიეირა ლონდონურ სახლს უკვე ყიდის და მადრიდში მისი დოსტის, ზინედინ ზიდანის მეზობლად ეძებს ახალ საცხოვრებელსო.

აქვე გავიხსენოთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეთა პირველი საგანაცხადო დედლაინი დღეს იწურება, თუმცა, აგვისტოს ბოლომდე სიაში კაცის ჩამატება შეიძლება. ისიც ცხადია, რომ „არსენალს" მანამდე ენდომება ვიეირას ამბის გარკვევა, სანამ ამ კვირას „მანჩესტერს" შეხვდება ინგლისის სუპერთასზე, „ჩარითი შილდზე".

მოკლედ, ვიეირას „რეალში" გადასვლას, საქმეს ისეთი პირი უჩანს, წინ ველარაფერი დაუდგება. შეგახსენებთ, რომ ფრანგი რვა წელია, „არსენალში" თამაშობს, სადაც ის „მილანიდან" გადაიყვანეს 3,5 მილიონ გირვანქად.

მის შემცვლელად კი ლონდონურ კლუბში თურმე პორტუგელი მანიშე შეუგულებიათ.



# მრიქსონმა დაკითხვას გაუძლო





## დევისი შვედს ვერ იმეტებს

**ჯერაც** ინგლისის ნაკრების მენეჯერი სვენ გორან ერიკსონი უკვე შეხვდა ფეხბურთის ასოციაციის თავკაცებს და მათ ფეხბურთისა და სექსის მორიგი სკანდალის გმირთან, ფერია ელამთან თავის ურთიერთობებზე ესაუბრა. ასოციაციის მდივანმა გოგომ თავისი საყვარლობით უკვე შეიწირა ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი მამა, პასუხისმგებელი შეფი მარკ პალიოსი, რომელიც სამი დღის წინათ გადადგა, ახლა კი შვედის სავარძელს არყევს.

შვებულებიდან ლონდონს დაბრუნებული ერიკსონი ერთ განთქმულ ვექილს შეხვდა, მერე კი ასოციაციის თავკაცებთან პირველი საუბარი გადაიტანა იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა ფერია ელამთან რაგინდარა სასიყვარულო ურთიერთობა.

თანდათან საქმე ისე იკვეთება, რომ მწვრთნელი თავის ადგილის შეინარჩუნებს. ამის შესახებ უკვე მიანიშნა მარკ პალიოსის დროებითმა შემცვლელმა დევიდ დევისმა: „სვენი ძალიან უყვართ ფეხბურთელებს. მას მუშაობა უნდა და მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთეოა. კართან კლუბების რიგი უდგას".

ერიკსონის პირველი საუბარი ასოციაციის შეფებთან წარმატებული ჩანს, თუმცა, შვედს ჯერაც არ გაუცია პასუხი მთავარ კითხვაზე: რაზე ელაპარაკებოდა ფერია ელამს, როცა პორტუგალიიდან ურეკავდა ხოლმე.

ისე კი, სვენს არც არასდროს უარყვია თავისი სასიყვარულო ურთიერთობა ამ გოგოსთან, თუმც არც დაუდასტურებია.

**ირაკლი გამყრელიძე**

*მადრიდის „რეალისა" და „ბარსელონას" ძიდილი კამერუნელი სამუელ ეტოოს გამო დღითიდღე მძაფრდება. აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელის „კამპ ნოუზე" გადაბარგებას ფლორენტინო პერესი ხელს ვერ შეუშლის, თუმც ეცდება კატალონიელებს მძლავრი დარტყმა მიაყენოს. გუშინწინდელი „ასი" „ეტოოს საქმეში" ახალი მოქმედი პირის ჩართვას გვამცნობს — პერესი და სამეფო გუნდის მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო ბარსელონელთა კაპიტნის, კარლეს პუიოლის გადაბირებით ყოფილან დაინტერესებულნი.*

# ლაპორტა სრულ ჭკუაზეა

## ბარსელონას სიმბოლო არ იყიდება




კამაჩოს რომ პუიოლი მოსწონს, ძველი ამბავია — 22 წლის კატალონიელი ესპანეთის ეროვნულ გუნდში სწორედ კამაჩოს მწვრთნელობისას გამოჩნდა. მადრიდელებს იმისიც ეიმედებათ, რომ „ბარსას" კაპიტანმა პრეზიდენტ ხუან ლაპორტას გადაწყვეტილება, ფეხბურთელებს ხელფასი შეუმციროს, არ მოიწონა და უკმაყოფილება პრესისთვისაც არ დაუმალავს.

ერთი სიტყვით, შესაძლოა, ფლორენტინო პერესმა ხუან ლაპორტას სამუელ ეტოოს სანაცვლოდ კარლეს პუიოლი მოსთხოვოს. მაგრამ გაბედავს ლაპორტა ასეთ გარიგებაზე წასვლას? ცხადია, არა და ამას „ბარსას" პრეზიდენტის გუშინდელი განცხადებაც ადასტურებს — პუიოლი არ იყიდება, იგი „ბარსელონას" კაპიტანი და სიმბოლოა.

გუშინდელი კატალონიური „სპორტის" პირველი გვერდიდანაც „რეალს" უარი შეუთვალეს. საქმე ისაა, რომ ბარსელონაში პუიოლისადმი დამოკიდებულება უფრო მეტია, ვიდრე „ჩვეულებრივი" ფანატიზმი, ხოლო გუნდმა კარლესის პატივისცემა სულ რამდენიმე ხნის წინ გამოხატა — კაპიტნის არჩევისას „ბარსელონას" მწვრთნელი რაიკარდი რონალდინიოს მხარეს იჭერდა, თუმცა ფეხბურთელებმა კაპიტნად პუიოლი აირჩიეს. მოდი და ამის მერე ასეთი კაცი „რეალს" დაუთმე. ლაპორტას ზემოთ ნათქვამ სიტყვებს თუ გავიხსენებთ, ჩანს „ბარსას" პრეზიდენტი სრულ ჭკუაზეა.

**ლადო ხომერიკი**

# ზიდანი დომენექს პასუხს შეპირდა





ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ მის სანაკრებო მომავალს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩამდე გადაწყვეტს. საფრანგეთი — ისრაელის შეხვედრა კი 4 სექტემბერს პარიზში გაიმართება. ზიდანი ნაკრების ახალ მწვრთნელ რაიმონ დომენექს გუშინ მადრიდში შეხვედრია და უთხოვია, საბოლოო პასუხისთვის ორიოდ კვირა მჭირდებაო.

„ვესაუბრე დომენექს და ჩემი შეხედულება გავუზიარე. მან კი თავის სამომავლო გეგმებზე მითხრა. უახლოეს დღეებში კიდევ დამიკავშირდება, მანამდე კი მოვიფიქრებ, დავრჩები თუ არა ნაკრებში. პასუხი 4 სექტემბრამდე აუცილებლად ეცოდინება".

**გაჟა ხუციშვილი**

# ლოტიტო დი კანიოს უფულოდ ხელგაშლილობას ჰპირდება



პაოლო დი კანიო

პაოლო დი კანიოს „ლაციოს" მაისურის უშხადებენ. 36 წლის იტალიელი რომაელებს გუშინ უნდა შეხვედროდა. დი კანიოს „ლაციოში" დაბრუნება უთამაშია და მოსალოდნელია, რომ ყოფილ გუნდში დაბრუნდება.

კლუბის პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ თქვა: „ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ჯამაგირზე თუ შევთანხმდით, ხელგაშლილი შევხვდებით, რადგან პაოლო თავის დროზე „ლაციოს" ფანების ჯილდა იყო. სამწუხაროდ, იციით, რომ ფინანსურად არ გვილხინს და შესაძლოა, ფეხბურთელი პირობებით სათანადოდ ვერ დავაკმაყოფილოთ".

იტალიური მედიის ვარაუდით, პაოლო დი კანიოს აგენტი მორენო როჯი წლიურ ჯამაგირად 600 ათას ევროს ითხოვს, მაგრამ კლუბს მხოლოდ ორწლიანი კონტრაქტი და 300 ათასი ევროს გადახდა შეუძლია. გარდა ამისა, პრემიებიცაა გათვალისწინებული.

36 წლის დი კანიო რომშია დაბადებული და „ლაციოში" 1987-1990 წლებში თამაშობდა.

**გაჟა ხუციშვილი**

# კრესპოს ჩელსიმ აწყენინა, შევჩენკომ ასიამოვნა

რამდენიმე დღის წინ „ჩელსიმ" განაცხადა, რომ კლუბიდან განათხოვრებულ ფეხბურთელებს კონტრაქტით ოფიციალურ მატჩებში „ჩელსის" წინააღმდეგ თამაში ეკრძალებათ. ლონდონელებმა მაგალითად მიქაელ ფორსელი მოიყვანეს, რომელიც „ბირმინგემში" იჯარით და „არისტოკრატებთან" „იმალება". ლონდონელთა თქმით, ეს ეხება „ინტერის" ხუან სებასტიან ვერონს და „მილანის" ერნან კრესპოსაც.

გაოცებულმა არგენტინელმა თქვა, რომ მსგავსი რამ პირველად გაიგო და საწინააღმდეგო არგუმენტად ფერნანდო მორიენტესი დაასახელა. „ელ მორომ" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მადრიდის „რეალთან" ხომ ითამაშა, უეფას წესებშიც ამის შესახებ არაფერი წერია და არც ჩემს კონტრაქტში მინახავს ასეთი მუხლიო.

„მილანი" ამერიკული ტურნედან დაბრუნდა, სადაც „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ჩელსი" დაამარცხა. ანდრეი შევჩენკოს კრესპოსთან ერთად შეტევა მოსწონებია და ახალი თანაგუნდელი შეაქო: „ბედნიერი ვარ, რომ მისი დარი მეწყვილე მყავს. რა თქმა უნდა, ჯერ შეთამაშება გვაკლია, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს კარგად ვუგებთ, თამაშის განმავლობაში ადგილებს ხშირად და დროულად ვცვლით".

**გაჟა ხუციშვილი**



ანდრეი შევჩენკოს ერნან კრესპოს მეწყვილეობა მოსწონს

## ფეხბურთის რუქასთან

**პორტუგალიურმა** „სპორტინგმა" ნიგერიელი მცველი ჯოზეფ ენკარსირე გადაიბირა. ამ უკანასკნელს ლიეჟის „სტანდარდთან" 2006 წლამდე ჰქონდა კონტრაქტი, მაგრამ მხარეებმა საკომპენსაციო თანხაზე მოილაპარაკეს, რომელსაც არ ახმაურებენ. აფრიკელმა ლისაბონელებთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. შეგახსენებთ, რომ აქამდე „სპორტინგმა" კამერუნელი ფორვარდი რუდოლფ მბელა დუალო, ჩილელი თავდამსხმელი მაურისიო პინილია და ბრაზილიელი ნახევარმცველი როჟერიო შეიძინა.

**ინგლისური** „არსენალი" უკვე პატრიკ ვიერას შესაძლო შემცვლელზე ფიქრობს და ხავიერ მასკერანოზეც დაუდგამს თვალი. არგენტინის ნაკრებისა და „რივერ პლეიტის" 20 წლის ნახევარმცველი სამხრეთ ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება. მისი გადაბირება „არსენალის" გარდა „დეპორტივოს", „იუვენტუსსა" და „სპარტაკს" სურთ. ცნობილია ისიც, რომ ლაკორუნიელები მზად არიან, მასკერანოში 6 მილიონი ევრო გადაიხადონ.

**იტალიურმა** „რომამ" ბრაზილიელი ემერსონის შემცვლელი იპოვა. დედაქალაქელებმა 7,2 მილიონი ევროს სანაცვლოდ „კიევოდან" 26 წლის სიმონე პეროტა შეიძინეს. პეროტამ ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ რომაელებმა ცოტა ხნის წინ „სკუადრა აძურას" კიდევ ერთი ფეხბურთელი, მატეო ფერარი გადაიბირეს. აქვე ერთი საინტერესო ფაქტიც: ამ მოთამაშეებს იტალიის ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ერთ დღეს ჰქონდათ, გარდა ამისა, დაახლოებით თვენახევრის წინ თითქმის გადაწყვეტილი იყო მათი ტურინის „იუვენტუსში" გადასვლა.

**საფრანგეთის** ფეხბურთის ფედერაცია ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა უეფას ახალ ინიციატივას და მომავალ სეზონში სათადარიგოთა სკამზე მწვრთნელებსა და მათ თანაშემწეებს მოწევა აუკრძალა. უეფა ამ გზით ცდილობს, ხელი შეუშალოს სიგარეტის პოპულარიზაციას.

**პორტუგალიურმა** „პორტუმ" ლიტველი ფორვარდი ედგარას იანკაუსკასი ტრანსფერზე დააყენა. „დრაკონები" იმედოვნებენ, რომ თავდამსხმელში 3 მილიონ ევროს მიიღებენ. „სრულ ინფორმაციას არ ვფლობ, მაგრამ ამაზე საუბარი მართლაც არის. შეიძლება, გითხრათ, რომ ედგარასი ან კლუბში დარჩება, ანაც სხვა ქვეყანაში განაგრძობს კარიერას, „პორტუდან" წამოსვლის შემთხვევაში იგი პორტუგალიაში არ დარჩება" — განაცხადა იანკაუსკასის აგენტმა პაოლო ბარბოზამ.

**რუსული** ცსკა კიდევ ერთი ახალგაზრდა ბრაზილიელის გადაბირებას ცდილობს. „არმიელებმა" ამჯერად იაპონური „კაშიმას" ნახევარმცველი დუდუ სარენსე ამოიღეს მიზანში. ფეხბურთელის აგენტის თქმით, მოლაპარაკებები ჯერჯერობით კარგად მიდის. დუდუ აზიაში წლეულს იანვარში გადაბარგდა, მაგრამ იქაურ გარემოს ვერ შეეგუა. „ფინანსურ მხარეს თუ არ ჩავთვლით, იაპონიაში გადასვლას ჩემთვის არაფერი მოუცია. აქაური ჩემპიონატის დონე არც ისე მაღალია, თანაც ბრაზილიელ ფეხბურთელებს იაპონელ მწვრთნელებთან კონფლიქტური დამოკიდებულება აქვთ" — აღნიშნა 21 წლის ფეხბურთელმა.

**იტალიური** ფეხბურთის ლეგენდის, რობერტო ბაჯოს აგენტმა ვიტორიო პეტრონემ გულმოდგინებით კიდევ ერთხელ დასწყვიტა გული: „ბაჯოს ორი გუნდი, „ბოლონია" და „ფიორენტინა" სთავაზობს კონტრაქტს. გეტყვით, რომ უდიდესი სიამოვნებით გავაფორმებდი ყველა ფორმალურ დეტალს, რათა ეს ბრწყინვალე ფეხბურთელი კიდევ მინდორზე კიდევ მეხილა, მაგრამ... რობერტო დაბრუნებას არ აპირებს. კარიერის დასრულება მისი საბოლოო გადაწყვეტილებაა".

**ურუგვაელი** ფორვარდით, დიეგო ფორლანით „ლევანტე" და მადრიდის „ატლეტიკო" იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ „მანჩესტერის" თავკაცმა მათ იმედი გადაუწურა. „ვიცი, რომ ესპანელებს დიეგოს გადაბირება უნდათ, მაგრამ ფორლანი არ იყიდება" — განაცხადა სერ ალექს ფერგიუსონმა.

**ფრანგული** „მარსელის" ვეტერანმა მცველმა ბიქსენტ ლიზარაზუმ შესაძლოა, ეროვნული ნაკრებიდან წასვლა გადაიფიქროს. 32 წლის ფეხბურთელმა გადაწყვეტილების შეცვლაზე ფიქრი მას მერე დაიწყო, რაც „მამლები" რაიმონდ დომენექს ჩააბარეს. „საფრანგეთის ნაკრებში უკვე 12 წელია, ვთამაშობ და გაშვება ძალიან მიჭირს" — განაცხადა ლიზარაზუმ.

# გერმანიის ბუნდესლიგა 2004-2005

# მოსაგებად მოვედი

## მაგათის მაგალითი გადამდებია

გერმანული ბუნდესლიგა ხვალ „ვერდერ“ — „შალკეს“ მატჩით იხსნება და საპირველტურო ინტრიგაც ვინძლო, ამ თამაშში ვეძებოთ. წინა სეზონის ბომბარდირი და „ვერდერის“ ჩემპიონობაში ლომის წილის დამდები ბრაზილიელი აილტონი ხვალ სწორედ „ვერდერის“ კარს შეუტევს. უაილტონო ბრემენელებს ალბათ ჩემპიონობის შენარჩუნება გაუჭირდებათ, ახალი მწვრთნელ-ფეხბურთელებით მომძლავრებული „ბაიერნი“, რომელსაც გასულ სეზონში არაფერი მოუგია, ბუნდესსასალათის უპირველეს ფავორიტად ითვლება.

### ვერდერი

ბრემენელი „მუსიკოსების“ სოლისტი აილტონი გელზენკირხენის „შალკეში“ გადავიდა. მასვე მიჰყვა სერბი მცველი მლადენ კრსტაიჩი. აილტონი გასულ სეზონში 28 გოლით ბომბარდირი გახდა, მან „ვერდერის“ გოლების (79) დაახლოებით მესამედი გაიტანა. მოკლედ, ჩემპიონს დიდი ძალა დააკლდა. ბრაზილიელის სრულფასოვანი შემცვლელი გუნდში არ მისულა, თუმც თომას შააფს ხორვატი ივან კლასნიჩი ჰყავს, რომელსაც ევროპის ჩემპიონი ხარისტეასი და „კაიზერსლაუტერნიდან“ 5 მილიონ ევროდ ნაყიდი მიროსლავ კლოზე შეეშველებიან. სეზონისწინა მატჩებში ხარისტეასს თავი არაფრით გამოუჩენია. ახალმოშუშებულმა კლოზემ „ბაიერნთან“ ლიგის თასის ფინალში ითამაშა, თუმც ჯერ ფორმაში არაა. 2007 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი იოან მიკუმ, რომელიც გუნდის ნახევარდაცვის გულია და წინა სეზონში „ვერდერის“ გოლთა უმეტესობაც მისი პასებით გავიდა.

### ბაიერნი

ახალი მწვრთნელი, თითო ფორვარდი და ნახევარმცველი, ორიც მცველი — აი, „ბაიერნის“ საზაფხულო შენაძენი. კლაუს ტოპმიოლერის ჯიგრიანი „ლევერკუზენის“ ბირთვი ახლა უკვე „ბაიერნშია“. მიხაელ ბალაკს და ზე რობერტოს ბრაზილიელი ლუსიოც შეუერთდა, ლუსიოს სანაცვლოდ მიუნხენელებმა 12 მილიონი ევრო გადაიხადეს. ბრაზილიელის გარდა „მიუნხენ 1860“-დან ანდრეას გიორლიცი (3 მილიონი ევრო) შეიძინეს. ნახევარდაცვას „დორტმუნდიდან“ გადაბირებული ტორსტენ ფრინგსი (9 მილიონი ევრო) გააძლიერებს, ხოლო რამდენად შეეშველება შეტევას ყოფილი ბოხუმელი ფორვარდი ვაჰიდ ჰაშემიანი, ძნელი სათქმელია, რადგან იგი ჯერჯერობით გუნდის შარშანდელი მთავარმეგოლე როი მაკაის და როკე სანტა კრუზის შემდეგ მესამე თავდამსხმელია. „კოპა ამერიკადან“ თავნატკენი დაბრუნდა კლაუდიო პიზარო და მის გამოჯანმრთელებას რამდენიმე კვირა დასჭირდება. „ბაიერნს“ ბუნდესლიგაში უდავოდ უძლიერესი შუახაზი ჰყავს. გერმანიის ლიგის თასი სწორედ ნახევარმცველთა გოლებით მოიგეს. გუნდი დაამშვენა მოკეთებულმა სებასტიან დაისლერმა. მან ლიგის თასის ფინალში წყვილი გოლი გაიტანა, მაგრამ მუხლი იტკინა და უცნობია, რამდენი ხანი დასჭირდება მის მკურნალობას. ფელიქს მაგათიმ გუშინ თქვა, მე აქ ჯილდოების მოსაგებად მოვედიო. ერთი უკვე მოიგო და, ცხადია, ამას არ დასჯერდება.

### ლევერკუზენი

ილდირაი ბაშთურქის, ტომაშ ბრდარიჩის, ოლივერ ნოივილისა და ლუსიოს წასვლა გუნდს, ცხადია, დაეტყობა, თუმც დიმიტარ ბერბატოვმა შარშანდელი შემართებით თუ ითამაშა, „ფარმაცევტები“ ალბათ სამეულში მოსახვედრად იბრძოლებენ. ახალწვეულებიდან ბოხუმელი პაულ ფრაიერია გამოსარჩევი, რომელმაც „ლევერკუზენის“ ნახევარდაცვა უნდა გააძლიერეს.



### შტუტგარტი

გუნდი, რომელიც გასულ სეზონში ბუნდესსასალათეს წაეპოტინა, ბოლოს კი მეოთხე ადგილს დასჯერდა, ამ სეზონში მხოლოდ ერთი რამით იქნება გამორჩეული — ახალი მწვრთნელი, მათიას ზამერი ეყოლება, რომელმაც სეზონი ლიგის თასის ნახევარფინალში „ვერდერთან“ მარცხით დაიწყო. „შტუტგარტის“ თავდასხმაში არაფერი შეცვლილა, კვლავ კურანი და საბიჩი შეუტევენ. ბორდონი „შალკესი“ გახდა, მის ნაცვლად კი „ბლექბერნიდან“ 32 წლის მარკუს ბაბელი ჩამოიყვანეს. ფიცხმა მათიას ზამერმა ეგებ შეძლოს კიდეც „შტუტგარტის“ დაქოქვა, რადგან სამისო გამოცდილება უკვე აქვს.

### ბოხუმი

გასული ჩემპიონატის „კერკეტ კაკალს“ სამი ძლიერი ფეხბურთელი გამოაკლდა. ფარენჰორსტი „ვერდერმა“ წაიყვანა, პაულ ფრაიერი „ლევერკუზენმა“, ხოლო ვაჰიდ ჰაშემინი „ბაიერნმა“. სამაგიეროდ, ბოხუმელებმა შემადგენლობა ცხრა ახალი მოთამაშით გაამდიდრეს, ამათგან „კაიზერსლაუტერნიდან“ გადასული ვრატისლავ ლოკვენცია გამოსარჩევი. „ბოხუმსაც“ „ფრაიბურგივით“ ლეგიონერი ფორვარდები ჰყავს.

### დორტმუნდი

„ვესტფალენშტადიონს“ მათიას ზამერის ხიბლი მოაკლდება. მის ნაცვლად იქ ჰოლანდიელი ბერტ ვან მაარვიკი იუფროსებს. ჰოლანდიელმა „შავ-ყვითელთა“ ქომაგების წყრომა უკვე დაიმსახურა. „ბორუსია“ ინტერტოტოდან „გენკმა“ გააძევა. ბერტ ვან მაარვიკს ტომაშ როსიცკის და იან კოლერის გუნდში დატოვება სურდა და ამას მიაღწია კიდეც. „დორტმუნდში“ დაბრუნდა სანდი ოლისე. მარსიო ამოროზო კი გაუშვეს და ახლაც უგზო-უკვლოდ დაეხეტება, ხოლო ჰაიკო ჰერლიხმა და შტეფან როიტერმა ბუცები ჩამოკიდეს.

### შალკე

ინტერტოტოზე მეტოქეები გაბდღვნა, მაგრამ საკმაოდ მოღონიერებული „შალკეს“ ნაღდი ძალა ბუნდესლიგაში გამოჩნდება. „ხუმარები“ პირველ გამოცდას ბრემენში ხვალ ჩააბარებენ. აილტონს და მლადენ კრსტაიჩს მათ წინაალმდეგ მოუწევთ თამაში, ვისთან ერთადაც ორი თვის წინ ჩემპიონობას ზეიმობდნენ. „შალკემ“ აილტონის სახით დიდმეგოლე შეიძინა, მაგრამ როგორ ჩაეწერება იუპ ჰაინკესის გუნდში, დრო გამოაჩენს. კრსტაიჩის გარდა „ხუმარებმა“ კიდევ ერთი კარგი მცველი „შტუტგარტს“ წაჰგვარეს. ბრაზილიელ მარსელო ბორდონში 4 მილიონი ევრო გაიღეს. რუდი ასაუერი, ცხადია, ასეთი გუნდით ჩემპიონობაზე ფიქრობს, მაგრამ „შალკესა“ და „ბაიერნის“ ნახევარდაცვას თუ შევადარებთ, გელზენკირხენელები ამ მხრივ მიუნხელებს ვერ გაუტოლდებიან.

### ჰამბურგი

